

რედაქცია: სოლომონიძე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინაძის სახლში, № 53.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. მარჯვენა მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисе. Въ редакцію газ. „Дროზა“.

გაზეთის ღირებულება: მთელი წელიწადი—8 მან., ნახევარწელიწადი—5 მან., სამთვიანი—3 მან., ერთი თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შუურად.

დროშა

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

უასი განცხადებისა: დიდი ასობით ასობე—1 კაპ., ასობით მთლიანობით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივად—1 კაპ., ევროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაბეჭდვლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი თვითღირსი საზოგადოების გამგებობა უმოკრილესად სთხოვს, როგორც საზოგადოების დამწესებელთა, ისრე წამდიელთა წევრთ გამოუგზავნონ მ. მეგობას, წესდებით დანიშნული, წევრთაგან შემოსატანი ფულები.

ამ წესდებით: დამწესებელ წევრთ უნდა შემოიტანონ „ან ყოველ წლივ არა ნაკლებ ოც მანეთისა, ან ერთ-ხანათ არა ნაკლებ სამასი მანეთისა“; წამდიელ წევრთ—ყოველ-წლივ არა ნაკლებ ექვსი მანეთისა და ერთ-ხანათ არა ნაკლებ ასი მანეთისა. ეს ფული უნდა შემოიტანილ იქნას ამ წლის 1 სექტემბრამდე.

საზოგადოების გამგებობასთან მიწერ-მოწერისათვის და ფორით ფულის გამოსაგზავნელათ, შემდეგი აღრესია: ВЪ Тифлисе. Въ канцелярію Тифлискаго Общества распространенія грамотности среди Грузинскаго населенія Намѣстничества Кавказскаго.

ვისაც თითონ სურს შემოიტანოს ფულები, იმას ესთხოვთ მიმართოს თვითღირსი თავად-აზნაურთა საადგილ-მამულთა ბანკში, საცა საზოგადოების ხაზინადარი, ან საქმის-მწარმოებელი ყოველ დღე მიიღებენ საწევრო ფულებს. (3—2)

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოში)

კაბეგაზური, 1 იენის. აქ მოვიდნენ რუმელიის დეპუტატები ნანკოლოვი და ბეშოვი; ისინი გამოეცხადნენ თ. ბორჩაკოვსა და ბირსს. მეროპაში მოგზაურობით ისინი კმაყოფილნი დარჩნულან, რადგან ყველა მთაერობას კარგათ მიუღიათ.

კაბეგაზური, 2 იენის. პოდოლის ლუბერნატორი ბუდიმ ლევეკოვიჩი მოკენის ლუბერნატრად დანიშნა.

ამ წლის პირველი იანვრიდან 3 მაისამდე, 5 თვის განმავლობაში, ხაზინაში შემოვიდა დამოქონის ბაჟი და სხვა შემოსავალი 26,205,543 მანეთი ქალაქის ფული; ოქრო და ვერცხლით შემოიტანეს—5,410,646 მანეთისა და 2,745,521 მანეთის გაიტანეს.

კაბეგაზურის ბირჟა, 3 იენის.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოში)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	95—87
მეორე	95—25
მესამესი	95—
მეოთხესი	95—12

აღმოსავლეთის პირ.	93—
აღმოსავლეთის მეორე	94—
აღმოსავლეთის, მესამე	—
ოქრო, 1/2 იმპერიალი	8—46
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი	94—93
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის	— 242—
მეორე სესხის	— 238—

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— 23—56	პენსი
ამსტერდამი	— 118—75	ცენტი
ბერლინი	— 200—75	პენსი
პარიჟი	— 248—50	სანტიმი
ქაევასიის კერასინი	—	—

საქართველო

წერა-კითხვის საზოგადოებას (წინადადება)

მე მსურს ჩვენს საზოგადოებას ერთი მცირედი წინადადება მივცე, უკეთესი ღირს გამხდინა და იქონიებენ სახეში ამ ჩემს წინადადებას.

მე მოგახსენებთ იმაზე, რომ ახლად დაარსებულს საქართველოში წერა-კითხვის გაფრცელების საზოგადოებას დი-

უკმაყოფილობა: ბერძნები 866 წ. შოციო პატრიარხის დროთაგან გამოარებული იყვნენ წელ-წელი აღიარებით რომის ეკლესიისაგან. მეთერთმეტე საუკუნოში უარესად განდგნენ ქელურალიო პატრიარხის შემოთრობისა.

ჩვენი სასულიერონი არც შოციოს დროს აღმოჩენილ იყვნენ წინააღმდეგნი კათოლიკობისა და არც ქელურალიო პატრიარხისა. ეს მტკიცდება მ. ბიორგი მთაწმინდელი მთარგმნელისაგან: ეს წმიდა მამა, ქელურალიოსაგან დათესილი ღვარძლის მოსასპობლად მოვიდა საქართველო-სამეცხეთოში, დაამტკიცა მართლ-მადიდებლობაზედ და ისე მოიქცა უკანვე მოსტანტინეპოლს და ქეისართან წარსდგა. ქეისარმა სარწმუნოება უხსენა, თუ რა ნაირი აღვიარებისა ხართ ქართველებიო. მოახსენა: ესე არს სარწმუნოება მართალი ნათესაისა ჩვენისა, რა ერთ გზის გვიცნობიეს, არაა მიღრეკილვართო მარცხულ, გინა მარჯულ

ფულტონი

ისტორიის მასალა *)

ამისთანა სამწუხარო მოვლენებები მეფეებმა, ლადიანმა თუ ბურგილმა ათაბეგების სიღბილეს მიაწერეს. ამბობდნენ, განგებ ვზას აძლევენ ნაირ-ნაირი ხერხიანობით ოსმალოებსა; ჩვენს საენოლ ჩვენს სისხლი სწყურიათ, ჩვენი სამთავრო სამფლობელოების ჩამოცლა უნდათ, რომ თვითან გამდიდრდნენო!

ამის გამო განზედ გაუდგნენ, დაუწყეს ბღებრა სხვა-და-სხვა ნაირის ახსნით თავიანთ ეჭვებისა, გარდაემტერნენ, მალ-მალ მოდიოდნენ, ომ-ბრძოლას უტყენდნენ ათაბეგებსა, მუარყვარესა, მანუჩარსა, დიდ მხნე-ქაბუქსა, მაინოსროსა და სხვათა.

*) „დროშა“, № 116.

მაგრამ დიდი ნაწილი ათაბეგები იმარჯვებდნენ მეფეებზედა. ასრე, როცა შეერთება ეჭირებოდათ მტრის შესაკავებლად, წინააღმდეგ შინაგანის განხეთქილებით, უბრალო მიზეზებით, ერთმანერთს თავ-პირს ამტერევდნენ, ძალა, ღონეს უსუსტებდნენ. ოსმალოებსა და პარსებსაც, ჩვენ მტერთა, ის უნდოდათ, დასტკეროდნენ შორი-ახლოდ ლომ-ვეხნისაგით: არა მე ჩავიგდო კლანჭში და არა მეო! პარსები უფრო მეფეებს ეწეოდნენ და ოსმალები მესხებსა. 1500 წ. შემოსდგეს ფენი ოსმალოებმა შანეთში, თორთომიც დაიჭირეს; აუშალეს საფუტკნელი ძლარჯეთსაც, ვიღრე 1552 წლამდის ძლარჯეთი, თაოსკარი, ძოლა, არტანუჯი და არტანი მართლად დაიპყრეს არსიანადისა...

ამ გვარი განწირულების მიზეზი ბერძნებისა, თუ ჩვენი, ოსმალოებისა, პარსებისა და სხვა ბარბაროსების ხელში, იყო მეროპის კათალიკე ხელმწიფების

დი მიზანი და სამძღვრები აქვს თავისი წესდების ძალით. ძალიან კარგათ ვიცი, რომ ამ საზოგადოებას ერთ-ბაშათ ბევრი საქმეების კისერია არ შეუძლიან და ვერც შეეძმის სხვა-და-სხვა მიზნების გამო. ამისათვის იგი ნელ-ნელა, მძიმეთ და დინჯათ უნდა სდგამდეს ნაბიჯს, რომ ნაბიჯის გადადგმა იყოს დაუღლოელი და მოუწყვეტელი. ახლავ ბევრი იმას იძახის, ამ საზოგადოებამ უსაუყოთ ეხლავე ხალხი სიღარიბიდან გამოიხსნას, კუჭი გაუძლოს და განათლება მაშინ წავა კარგათაო.

რასაკვირველია, ამისთანა აჩქარებულ ლაპარაკი ეკუთვნით მხოლოდ იმ ხალხთ, რომელთაც უყვართ ჭაერში კოშკების გამართვა და საქმის კეთებაზე რომ საქმე მიდგება, თავებს აძვრენენ, ან კიდევ ამათ სრულიად არ იციან ხალხის ცხოვრება, არ იციან იმათი ცხოვრების მიმდინარეობა და თავიანთ კაბინეტში კიდევ სჭირან და კიდევ ჰკერვენ. რა დაბრკოლებას ნახვენ?

მე როგორც ხალხის შეილი, მუდამ მათ შუა მცხოვრები, წარმოუდგენ საზოგადოებას უსაჭიროეს მოთხოვნილებას ხალხისას:

სამი წელიწადია, რაც ჩვენში შკოლებმა დაიწყეს კანტი-კუნტათ მოქმედება, და დავრწმუნდი კიდევ, რომ ზოგიერთმა შკოლებმა ცოტა რამ სარგებლობაც მოუტანეს, რისთვისაც ხალხი სიხარულით და ნდობით უყურებს მასწავლებლებს და მათ შეგირდებს. რამდენი საზოგადო საქმეები დაწყობილა, რამდენი მოსამსახურე პირები ყოფილან მათ შუა და ასე ნდობა არა ჰქონიათ მათზე, როგორც უკანასკნელზე.

ჩვენს განათლების საზოგადოებას ნიადავი მომზადებული აქვს, მხოლოდ მასზედ არის დამოკიდებული—თუ რამ მხურვალეთ მოეკიდება თავის საქმეს მიზნის შესასრულებლად. შრიგო არ იქნება, როგორც უ. შრისტეფორე მამაცაშვილი ამბობს „თბილისის უწყება-

ში“, რომ ამ საზოგადოებამ ზოგიერთ მზრის დიდ სოფლებში გახსნას სამეურნო სასწავლებლები. რასაკვირველია, ასეთი სამეურნო სასწავლებლების გახსნა, როგორც ლოჭინის შკოლა იყო, საზოგადოებას ძვირათაც დაუჯდება და ბევრს სარგებლობასაც არ მოუტანს ხალხს. ლოჭინის შკოლა არსებობდა მხოლოდ ხინოენიკების გამოსაკვებათ და არა გლეხების სასარგებლოდ; არა დროს არ მიწახავს, თუმცა გზა-ადკილას იყო შკოლა, რომ გლეხები როდისმე მოსულიყვნენ და დაეხალღებინათ შკოლის წარმოება.

თუ ეს საზოგადოება განიზრახავს სამეურნო შკოლების გამართვას, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ამნაირი შკოლები არ გააცალკევოს სოფლის შკოლებთან, ესენი მტკიცე უნდა იყვნენ შეკავშირებულნი სოფლის შკოლებთან. ახიან ზოგიერთი გამართულნი შკოლები, რომლებიც უფ დირექტორი სტრელოცკის სურს ორ კლასიან შკოლებათ გადაკეთება. მაგალითად საგარეჯოს შკოლა. თუ ეს ორ კლასიან სასწავლებლად ვაკეთდა, „წერა-კითხვის საზოგადოება“ უნდა შეერთდეს ამ შკოლასთან, იყოლიოს თავისი ხარჯით ერთი აგრონომი და მას მოუწყოს უსაჭიროესი სამეურნო იარაღები. აიღოს ხაზინიდან იჯარით საიჯარო ნაყოფიერი მამული; მაგალითად საგარეჯოში არის ასეთი ძალიან ნაყოფიერი მამული „საღალა“ ოთხას დღიურამდინ, სულ სარწყავი არის შარულთს, სახობის-ჭალა. საგარეჯოს შკოლის მეორე კლასის მოწაფენი და იერის ხეობის შკოლებში კურსს-შესრულებულნიც, რასაკვირველია, აქ მოვლენ, ამ ნაყოფიერ ადგილში, აგრონომისა და საგარეჯოს შკოლის მასწავლებლების შემწეობით, დაიწყებენ ფერმების გამართვას, რომლის შემოსავალი პირველ წლიდანვე ისეთი იქნება, რომ ყოველსავე ხარჯს დაფარავს და ძირსაც

დარჩება იმდენი, რომ სხვა საქმეებზედაც მოიხმარონ. მხოლოდ თავიდა-პირველად მოუნდება საზოგადოებას ცოტათიდნო ფულების დახარჯვა.

ამგვარ ადვილს, ამგვარი მეურნეობის წარმოებას დიდი ვაგონება ექნება ხალხზე, მისთვის უფრო რომ საგარეჯო არის იერის ხეობაში დიდი სოფელი და ყველა სოფლებიდან იქ ხშირად იკრიფებიან გლეხები.

შეთუ საზოგადოება სასარგებლოდ დაინახავს ჩემს წინადადებას, კარგი იქნება დანიშნოს თავისი აგენტი, დაათვალიეროს ყოველივე ნაჩვენები ადგილები. ამისთანავე უნდა დაუმატოთ ისიც, რომ საგარეჯოს შკოლას, უ. სტრელოცკის შემწეობით, სურს შეისყიდოს ხაზინიდან ოთხი დღის ვენახი საყავ ვაზებით; რასაკვირველია, ამასაც დიდი მნიშვნელობა ექნება მეურნეობის წარმოების დროს.

ა. ძაფთელი.
იენისის 1, ხ. საგარეჯო

დღიური

* * * ამ ორშაბათს, 4 იენისს, ძალაქის რჩევაში იყო არჩევა ძალაქის ბამგეობის მესამე წევრისა. ძანდილატებად წარმოადგინეს: მეგრათ ხოსროვეი, არტ. თამამშოვი, იაკ. მლიმიზოვი, ალექს. ჩოლოყაშვილი, სერ. მესხი, ალ. შრიდონოვი და სხვ. ამათში, პირველ ორს ვარდა, ყველამ უარი განაცხადა კენჭისყრაზედ; ორს მე. ხოსროვესა და არტ. თამამშოვს უყარეს კენჭი; ორთავეს ამოუვიდათ 27 თეთრი კენჭი და 16 შავი. ხელმეორედ კენჭისყრაში უფ. მე. ხოსროვემა გაიმარჯვა: ამას ისევ 27 თეთრი ამოუვიდა, არტ. თამამშოვს კი 22 თეთრი. ამ ნაირად ბამგეობის წევრად ამორჩეულ იქმნა მეგრ. ხოსროვეი. ბამგეობის წევრთ კანდილატებად

და არც არა მივსდრკები, თუ ღმერთსაც უნდესო. მეგრე რომ ჰკითხა, ბერძნების მფუფანი სეფისკერით წირვაზედა და ლათინების უფუფარის ხშიადით წირვასა ზედა,—უპასუხა: რადგან ბერძნებში მრავალი წვალება შესულა, წმიდათა მამათა დაწესეს მფუფანი სეფისკერი, რათა მივიღებდეთ ცოცხსა სახედ ხორცთა შრისტესთა, პურის ცოცხსა (საფუფარსა) სახედ სულისა გონიერისა და მარილსა სახედ გონიერებისა... ხოლო რომთა, ვინათგან ერთგვის იცნეს ღმერთი, არაოდეს მიდრეკილ არიან და არცაოდეს წვალება შემოსრულ არს მათ შორის“... (ბიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში).


მაგრამ შლორენციოს კრებაში კი ბერძნებს მიჰყვნენ, (1440 წ.) ამით აღარაფერ შეგვიბრალა და წახდა საბერძნეთთან ჩვენი სამესხეთოცა! მაგრამ რიგი კი არ იყო, შრისტე გვიბრძანებ: „შეისყვარეთ მტერნი თქვენნი და კეთილ-

უყოფდეთ მოძულეთა თქვენთაო.“ თუ არა და განა ჰკუთვა-ცნება კიდევ დარჩენოდა ვისმეს, ურიცხვ მტერთ ომებისა და აოხრებისაგან?

როგორც მსმალები დასავლით გვაჭირებდნენ, ისე პარსები აღმოსავალით. შაჰ-თამაშმა თავის 50 წლის მეფობაში გააოხრა მთელი ქვეყანა. რა ვეღარ მოიღგეს სული, 15 წელს არღარ აიღო თურმე გარდასახადი, შეარყვარეს ძე ბაიხოსრო ათაბეგს სული რომ მიუჭირდა მსმალეობის მძლავრობისაგან, მიჰმართა შაჰ-თამაშსა შაჰმინს; სანამ მის შემწეობისთვის მოიცილიდა, მოკვდა იქვე ბაიხოსრო ათაბეგი; თუმც მაგიერ მის ძე შეარყვარე გაათაბეგდა, ვარნა დედა მის, სახელად ლედის-იმედი მუხრან-ბატონის ქალი, არ ანებებდა შვილს მმართვას, იძახოდა: ქვეყანაზედ მარტო მე ვარო, და მართლა იმ დროს მისთანა ქვეყნის მანე არა ვინ იყო! მაგრამ შალიკაშვილი მარზა მთარი შაჰ-თამაშის

ცოლის ძმა, თავის გონიერობით წინ უძღოდა და ამ დედაკაცის მანებლობას აზომიერებდა და რიგზედ მიჰყავდა მმართვა ქვეყნისა.

შაჰ-თამაშსაც დიდად მიაჩნდა ეს კაცი თავის სიმხნე-სიქველისათვის. მარზა შაჰ-თამაში ძახეთზედ რომ წავიდა მეფე ალექსანდრეს სამტროდ, მაშინ ბოროტ-შურით აღგზნილმა მთარ ჩოლოყაშვილმა მოსწერა ცრუ წიგნი ბაიხოსრო ათაბეგის ქერიეს ლედის-იმედსა: „შენ ვეზირს შალიკაშვილს მარზა მთარს გაუციხარ, შაჰ-თამაშს უნდა ამოგაწყვეტინოსო“. იცოდა ავკაცმა, რომ უთუოდ მოჰკლამს და შაჰ-თამაშა ძახეთს მოსცლდება და სამესხეს გააოხრებსო. მართლად ამ დედაკაცმა გაუკითხავად მოაკვლევინა მართალი შალიკაშვილი და შაჰ-თამაშმა საშინლად გააოხრა სამესხე და მცხე უფრო. ხომ არც შაჰ-თამაშს შერჩა ჩვენი ცოლვა, როცა აბანოში შევიდა ერთ



ამორჩეულ იყვნენ: არტ. თამამშოვი (29 თეთრი) და პავლე იშმაილოვი (27 თეთრი).

წამფასებლებად ამოარჩიეს უფ. ბარხუდაროვი და მჯუბოვი.

ამავე სხდომაზე რჩევამ გადაწყვიტა, რომ შესწორება და დაფასება ინჟინერების სამიატინის, პოპოვისა და შმანსკის მუშაობისა (წყლის გაყვანის და ქალაქის პლანის თაობაზე) მიენდოს მალაქის მამგობას, რომელიც ამ საქმისათვის მცოდნე კაცებს (სპეციალისტებს) მონახავს.

პალია თან-და-თან მრავლდება თფილისის არე-მარცხებში. მცხეთილამ თფილისამდინ თითქმის სრულიად არაფერი გაუშვიათ შეუქმელი. ახლა თფილისილამ პოჯრისაკენ წავიდა და, როგორც გვითხრეს, ამ ქამად სოფ. ქეკეთს მოსდებია (პოჯრის იქით 6-7 ვერსე); მქროყანის ახლო-მახლო სულყველაფერი მოტიტვლებულია.

ბასულ კვირას თფილისის ქუჩები და გზოები სულ მოფენილი იყო კალიით; ჰაერში როგორც ხშირი თოვლი გინახავთ, ისე დახვანხვალაობდნენ. მუჩის ბიჭებს ჩოხები და ახალოხები გაეძროთ, ჯოხებზე ჩამოეცოთ და ისე ხოცდნენ.

ამავე დღე განკარგულა სახალხო განათლების მინისტრისა, რომლის ძალითაც სასულიერო სემინარიებში კურს-შესრულებულ ყმაწვილ-კაცებს დროებით კიდევ ეძლევათ უფლება შევიდნენ უნივერსიტეტის ისტორიკო-ფილოლოგიურ ფაკულტეტებში და აგრეთვე ისტორიკო-ფილოლოგიურს ინსტიტუტში, თუ რუსული ენილამ და ძველი (ბერძნული და ლათინური) ენებში დამდიკურენ ეგზამენს იმპროგრამით, რა პროგრამითაც გიმნაზიებში იტერენ. (ლათინურილამ უნდა შეეძლოსთ თავისუფლად გადათარგმნა რუსულად ტიტლის თხზულებებისა და ბერძნულილამ—მ.მერისა).

* * * თფილისის იმ საავათმყოფოს გამგეობა, რომელიც 4 აპრილის სახსოვრად არის დაწესებული, გვითხრეს გამოცხადოთ, რომ იენისის პირველილამ ეილრე პირველ ენკენისთემდინ ავათმყოფების მიღება ამ საავათმყოფოში დაიწყება დილის 8 საათილამ და 10 საათზე გათავდება.

* * * ბორილამ გეწერენ, რომ გასულ კვირას, ბორის კრუჟოკში ყოფილა პირველი აქტი იქაურ სამასწავლებლო სემინარიისა. სულ 6 ყმაწვილ კაცს გაუთავებია წელს ამ სემინარიის კურსი და ექვსივე სხვა-და-სხვა სოფლებში დაუნიშნავთ მასწავლებლებლად.

ბორილამვე მივიღეთ ამბავი, რომ ამ ორშაბათს ქალაქს, სომხის პატრიარქის თანხმობით, გაუსტუმრებია შიმშიდინში ერთი ვართანეტი იმ წყლის (წმ. იაკობის წყლის) მოსატანად, რომელსაც ტარბი უნდა მოჰყვეს კალიის დასახოცლად.

* * * სოფ. ბოდბის-ხევილამ მივიღეთ გახეთში დასაბეტლათ შემდეგი წერილი იქაურის მღვდლის მ. ნიკოლოზისაგან:

სიღნაღის უეზლში ბევრს ალაგას არის სასოფლო შკოლები; მაგრამ არა მგონია, რომ ისეთი ერთგულობა და ბეჯითობა იყოს სადმე, როგორც ბოდბის-ხევის შკოლაში. შუ. ღირეკტორმა, შაგირდების გამოცდის დროს, რადგანაც დაინახა კეთილი წარმატება, ამისათვის დადებულის ჯამაგირის ოც-და-ხუთის თუმნის გარდა მოუშატა მასწავლებელს უ. მარკოზ რიქამადეს ხუთი თუმანი

ამა იენისის 1-ს მე შევედი ამ სასოფლო შკოლაში, სადაც არაიენ დამხვდა, გარდა ერთის პატარა ათის წლის ბავშვისა, რომელიც იჯდა სტოლზე და მშვენიერის ხელით სწერდა წერილათ დაწერილის შავიღან თხოვნას, რომლითაც სთხოვდა თავის მიღებაზედ თფილისის სასულიერო სასწავლებელში.

ამ თხოვნაში ამოვიკითხე მისი სიღარიბე, და ვკითხე: ეს არაა თუნდა გაატანო მეთქი? მან მომიჩვენა თხოვნათუნდა გავგზავნო და არ ვიცი რას გამომართმევენო, ბებია ამ ერთი ქათამი მომცაო, ხვალ ის უნდა სიღნაღში გავყილოვო და ეს ქალღი გავგზავნოვო. ამ თქმაზედ ძრიელ შემებრალო, გათავებამდის დაუცადე, გამოვართვი დაწერილი თხოვნა და აი დღეს ჩემის ხარჯით ვავგზავნი თფილაში. რადგანაც ამ ყმაწვილის ნაწერი და ლაპარაკი მომეწონა, ამისათვის ალუთქი, რომ თუ მას იქ მიიღებენ, პირველ წაყვანაზედ სასწავლებელში ერთი ხელი ტანისამოსი მე შეუყურო, რადგანაც დარწმუნდი, რომ მართლა ძრიელ ღარიბი ყოფილა.

ამ ყმაწვილის ორი წლის განმავლობაში ისრე უსწავლია, რომ თითონ თავის ხელით თხოვნასა სწერს;—ეს რასაკვირველია უნდა მიეწეროს პირველად მასწავლებლის ბეჯითობას და მეორეთ ყმაწვილის ნიქს.

დ რ მ მ ბ ა კორამსკონდენსია

სამმბრელოლამ, 31 მაისს. სენაკის უეზლში სოფელს ნოქალაქეც არის მადნეული წყალი, რომელიც 1851 წლილამ გამართულია და ხმარებაში შემოვიდა. ახალ-სენაკიდან ეს მკურნალი წყალი 16 ვერსის სიშორეზე არის, მდინარე ტეხურის ნაპირად.

როგორც მცოდნე პირებისაგან გამოკვლეულია, ეს წყალი უხდება მრავალ გვარ სნეულებას და კაცი მოყავს საჭმლის მალაზედ.

მაგრამ ეს მდნის წყლის სარგებლობა წესიერად არ ყოფილა წისრულ წლებში, რადგანაც სააბანავო მინდორში იყო გამართული. მოგვსენებათ, სამეგრელოს კაცი, და ნამეტურათ ქალი, მეტისმეტი მორცხვია: შიშველი ტანით ვერ

დღეს, სადაც ახლდა ოცხელი მესხი ახალგაზრდები, ამათ ჩაუყვეს თავი ცხელ წყალში მოაშთეს და თვითონ გარდინებენ უვნებლად (1576 წ).

ბამეფდა ძე მისი ბოშაჰ-მამარილი მეორე. ამან გაწყვიტა (70 წ.) შამა მისის დიდებულები და თავის ძმები; სადაც იყვნენ პარსეთში თუ სომხეთში, სისხლის ღვარი აადინა წელიწად-ნახევარსა. შეერთდნენ თავიზის ამირები, მოჰკლეს ესა და გაამეფეს მისი ძმა ხუდაბანდი. რა ჰსცნა ამ გვარი ანდერეულა სულთან მურადმა, გამოგზავნა შარა-მუსტაფა (ლალა-ფაშა) დიდის ლაშქრითა; აილო ჩილდირი, მრევანი, ნახჩევანი და თავიზი, 60,000 ტყვე წაიყვინა ამ დროს საბერძნეთში, თან იახლა შვარცყარე ათაბაგი და ძმა მისი მანუჩარი პოლტანტინეპოლს, ხელ-ახლავ შემობრუნდა უმრავლესი ძალითა თფილისს და სიმონ მეფე გააქცია. თფილისი და სხვა სიმაგრეები აილო, ღვეით-ხანი დაიმორჩილ

ძმა სიმონ მეფისა, ააგო ციხე თფილისსა და სხვაგანაც, დაიპყრა ბანჯა, შამახია, შირვანი, ბილანი და ღარბანდი მისი მოტან-მოტანებით, დასტოვა შირვანს 40,000 ჯარით ოსმან-ფაშა და თვითან სტამბოლს წავიდა.

მაშინ პარსებმა ამოწყვიტეს ოსმან-ფაშის ჯარი და ოსმან-ფაშა ღარბანდს გარდაიხვეწა მცირედით, იქ ღარბანდის მფლობელის ქალი შეერთო ცოლად. მოჰკლა და თვითან დაიჭირა ღარბანდი. სულთან მურადმა მწვეარი მოსცა; მაგრამ პარსებმა დაამარცხეს და ჩამოაცალეს ბევრი ადგილები და მრევანიცა; მერმე შირიმითგან, ძვეკასის იქითა მხარითგან, გაიმრავლა ჯარები, მოასია ბარდავ, მანძაზედ და პრაზის მდინარემდის აიკლო, აწყვიტა და გააოხრა საშინლად. ამ დროს გამაჰმადიანდნენ ინგილოები და ბევრი ლეკებიცა.

ამის წინად ჟამის სენს დიდ-ძალი ერი მსხვერპლებლად. მტკერის სამხრით, ატარ-

პატკანს, არცანს (შარაბაღს) და ძანეთს, რაც ჟამს გადაჩინოდა, ხმალმა ამოტლიტა. ბანჯა და სიმშილი. ყოველ გვარი საზიზლარი რამე უქმელი არ ღარჩათ, ვიდრე ფეხის გულებს იტყავედნენ, ხარშავდნენ და სჭამდნენო; აგრეთვე მოწამლული ბალახებიც სჭამეს და ბევრიც მისგან დაიხოცა.

1581 წ. შემოადგა სიმონ მეფე თფილისს თათრებს, ორ წელს ძლიერად ებრძო, მოემწიენენ ოსმალთ გარედგან მწენი მრავალჯერ; მაგრამ დაამარცხა ყველანი; ისე შეაჭირვა თფილისელნი შიმშილმან თურმე, რომ ერთი ვირი 50 ოქროდ იყიდებოდა, ძალი 20 ოქროდ და თუ ეშოვნათ ორი ბათმანი ქერი, 60 ოქროს მისცემდნენ.

ასრე აილო თფილისი სიმონ მეფემ; მაგრამ ალუთქვა გარდასახადი ოსმალთა, პარსთაც აძლევდა, რადგან შვილები და ძმა მძევლად ჰყავდა პარსეთს. ახალიცხე, 9 აპრილს. მინმე მესხი.

გამოუჩვენებინ ერთი მეორეს, და ამისა გამო რამოდენიც უნდოდა კაცს სარგებლობა წყლისა, იმდენი არ შეეძლო.

წელს 2 ფებერვალს ეს მადნის წყალი იჯაროდ აიღო ახალ-სენაკის მცხოვრებმა ივანე ზეიშანიამ შემდეგის პირობითა: დედა-წყალი უნდა აყვანა ზედა ეტაჟში აუზებითა და შიგ უნდა ყოფილიყო რამდენიმე პატარა-პატარა ოთახები. ალუბისათანავე, უფ. ზეიშანიამ გამოიწერა და დაიბარა გამომცემლობის წყლისა და სახლის ასაშენებლად ოსტატები, გამართა მუშაობა და მონდომებულიც იყო, რომ ამ წლის განმავლობაში საქმე გაეთავებინა. მაგრამ წრეწარდელმა პეტრე-მე-მა გვალვამ უცებ წამოიყვანა მთილამ თოვლის წყალი და ამის გამო მუშაობა გააძნელა, ვერ მოხერხდა ზემა ეტაჟში მადნის წყლის აყვანა. ამის გამო ამ წლის საბანაოდ, რომ არ შეწყუბუნდებოდა აუზითა და მთილიანად გააკეთა დროებითი შენობა.

იმდენი გვაქვს, რომ მომავალი წლისათვის რიგიანად გამართული იქნება ეს მადნის წყალი. ბევრი სხვა-და-სხვა მაზრის ხალხი მოდის აქ, სამეგრელოს გარდა ივერეთიდან და ზურგილიდანაც. ახალ-სენაკიდან აბანომდის წინააღმდეგ და ფაეტონებითაც კი შეუძლია მსურველს მოგზაურობა.

გ. ფ.

ამისათვის მსურველთ შეუძლიანთ მომადონ როგორც სხვა და სხვა საქმეები სულში საწარმოებლად, აგრეთვე დევებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ გამოჯენის დროს.

ამასთანვე ვიღებ უგოლოვნის (სისხლის სამართლის) საქმეებსაც, როგორც ვექილი და გამოცდილი ჩინოვნიკი მყოფი სეკრეტარს თანამდებობაში მძევების ნაწილისა თფილისის ოკრუჟენის სულში ვიდრე რვა წლამდე.

ბინა მექნება მათლანიანთ ქუჩაში, იავარ ღემურთვის სახლში, და ხშირად ვიმყოფები შემდეგ ამისა ქ. ღუშეთში.

უზრამ კობივი (7-3)

მე საბარჯოს მამასახლისი საყოველთაოთ ვუცხადებ ყველა მაზრების სოფლების მამასახლისებს, რომ საგარეჯოს მცხოვრებლებს, რომლებსაც ექნებათ საგარეჯოს ნაცელის სოლომონ ძაფთუაშვილისაგან მიცემული ბილეთები და რომლებსაც არ ექნებათ ზედ დასმული სასოფლო ღერბი, დიქტორისინი და წარმოადგინონ საგარეჯოში ჩემთან.

საგარეჯოს მამასახლისი ზურაბ მაკანტალაშვილი. (4-1)

მუთაისუი

კ. მესხის წიგნის პალაზიაში

იხილება შემდეგი წიგნები:

1) იტყვანი და მოკლვკობანი — თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის მადრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

- 2) იზივი, უკეთეს ქალაღზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან. **ქართული ენის**
 - 3) **რუსული ენის დგანაწილისი** პრაქტიკული ნაწილისი (Практический начальный курс рус. языка для дружин) — შედგენილი მ. ძ. — შეიქმნა მიერ. ფასი — 60 კაპ. პინც 20 წიგნზე მომეტებული სიყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპიკად.
 - 4) **დმდა მან** — ი. ზოგებაშვილისაგან, 30 კ.
 - 5) **სიბრძნე სიცრუის წიგნი** ფასი — — — — 50 კაპ.
 - 6) **ბუნების კარი** — ი. ზოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.
 - 7) **პატარა ბიბლიოთეკა** — იმისივე — — — — 10 —
 - 8) **ლოცვანი**, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — — 20 —
 - 9) **ნიწო**, მოთხრობა თ. რაფ. პრისთვისა — — — — 15 —
 - 10) **თამარ ბატონიშვილთ** — დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —
 - 11) **არანბა**, პოემა მ. წერეთლისა — — — — 20 —
 - 12) **სამზარეულო**, ბარ. ჯორჯაძისა — — — — 50 —
 - 13) **შარბანიანი** — პირველი ექვსი წიგნი — — — — 30 კ. და 40 კაპ.
 - 14) **რძალი მული და მუშინიკები** — კომ. თუთაევისა — — — — 30 —
 - 15) **ქართული კალენდარი** 15 —
 - 16) **სახარება** — — — — 25 —
 - 17) **„გუბიარობა“** ვოდევილი აკაკისა — — — — 20 —
 - 18) **„ვაი ჭკუისაგან“** კომედია გრიბოედოვისა, ნათარგმნი მ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —
 - 19) **სოლომონ ისაიის მუჯღანაშვილი** — — — — 30 —
- სასოფლო უკოლმას უკოვლგვარი წიგნები მიყვება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში ძლუბის ქვეშ.

განცხადებანი

ტიტულიარის სოვეტნიკი მერემ ფადეიჩი კობივი აუწყებს საყოველთაო საცნობლად, რომ თანახმად ახალი წესისა დაწესებულ უმაღლესის მთავრობისა, მივიღე თფილისის ოკრუჟენის სულდიდან მოწმობა პოვერნიობისა, რომლითაც ნება მაქვს საქმეების წარმოებისა სულდებში.

რ. ბ. ზ. ა.	დ. ი. ა.	ს. ა. ბ. ა.	II კ.	III კ.	ბაღმარაში	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალო.						
თფილისი	9 21	5 18	8 კაპ.	8 კაპ.	მ. ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 5 სენისს.		მრეწის მადანზე, წინამძღვაროვის სახლებში.						
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ბაკაიისი აქთა მზრის ყველა ქალაქებში.	0	შქვილი წითელი	160	აუთმყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.						
ზორი	11 58	9 43	3	153	როსტოვს, მდებს, მოსკოვს	2	ქერი ფუთი	120	მ. რ. შ. ბ. ა. თ. ს. მერმიშვილი და ბარ. ლევიჩი — შინაგ. ავთ., ძიუჩაროანც — ქალის ექიმი და საშეი- ლოსნოს დაზრაციებში.						
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	პეტრებულს, მარზაფს.	2	ბამბა მრეწისა, ფუთი	8 40	ს. ა. მ. შ. ბ. ა. თ. ს. მერმიშვილი — შინაგ. ა. ბახტოვი — საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი — თვალის.						
სურამი	1 44		4 90	2 61	მსმალეთში, უფიც. რაში.	3	ამერიკისა, ფუთი	9 20	მ. თ. შ. ბ. ა. თ. ს. მერმიშვილი შინაგანი ავთმყოფობის.						
შვირილა	5 49		7 21	3 69	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაპენტილი ბამბა ფუთი	10 60	ხ. უ. თ. შ. ბ. ა. თ. ს. მერმიშვილი — შინაგ. ა. ბახტოვი — საბეზო, ქალისა და ბავშვების.						
რიონი	6 57		8 44	4 31	ინგლისში	3 75	მატული თუშური ფუთი	8	შ. ა. მ. შ. ბ. ა. თ. ს. მერმიშვილი — შინაგ. ა. ბახტოვი — საბეზო, ქალისა და ბავშვების.						
სამტრედიო	7 51		9 66	4 93	ფორტა		— თარაქამისა ფუთი	5	ს. ა. მ. შ. ბ. ა. თ. ს. მერმიშვილი — შინაგ. ა. ბახტოვი — საბეზო და ბავ- შვის, პეუნოვი — თვალის.						
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთასს, რუსესთ — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მ. ზურ. — პარსკ. და ორშ. ბახეთს — სამშ. და შაბ. ბ) მუთაისიდან: თფილისისა და შოთის კენ- ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. ზურ- გეთს — ორშ. და პარსკ.		— აბრეშუმი ნუხურ სტ.	2 10	მონა, ფუთი	5 80	მონის სანთელი ფუთი	7 60			
შოთი	9 50		12 24	6 26	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		სტეარინის სანთელი, ფთ.	12 50	ხორცი ძროხისა, ლიტ.	76	— ცხერისა, ლიტრა	1	სპირტი ყვდრო	4 50	
ზოთი	9 3				ლია წიგნის	3	შაქარი, ბროც. ფუთი	7 20	— ფხენი ღუთი	5 70	შავა გრგვ. ლი, გირვ.	65	— ზეთი ქუჩუთისა ფუთი	11 80	
ახალ-სენაკი	10 14		1 53	78	დ. ბ. კლდის (ხ. მი მისხალი)	8	— თამბაქო, საშუ ლო ფთ.	7 30							
სამტრედიო	11 5		2 61	1 33											
რიონი	12 13		3 84	1 97											
შვირილა	1 18	ლაგ.	5 3	2 56											
სურამი	5 12		1 10	7 34											
ხაშური	5 39		1 37	7 51											
ზორი	7 5		4 8	9 24											
მცხეთა	8 50		6 5	9 39											
თფილისი	9 31		7 5	6 24											